



ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking



KA030804452232418

№ 07-64/თ

23 / მარტი / 2018 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2013 წლის 28 ივნისის №07-93/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1.„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის შრომის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2013 წლის 28 ივნისის №07-93/თ ბრძანებით დამტკიცებული დანართი 5-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. იურისტი:

ა) ფონდის ბენეფიციარებს უწევს ინდივიდუალურ სამართლებრივ კონსულტაციებს;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, ფონდის ბენეფიციარს უწევს წარმომადგენლობას/ადვოკატირებას სასამართლო/სამართალდამცავ ორგანოებში;

გ) მონაწილეობას იღებს შემთხვევის მართვისა და რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის ინდივიდუალური გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში;

დ) ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა, კერძოდ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არ გასცეს ბენეფიციარის პირადი ინფორმაცია ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე;


ე) ვალდებულია დაიცვას/შეასრულოს ფონდის შრომის შინაგანაწესი, ასევე ის სამართლებრივი აქტები, მათ შორის ფონდის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც უკავშირდება სამსახურებრივ საქმიანობას;

ვ) ფონდის დირექტორისა და თავშესაფრის უფროსის დავალებით ასრულებს ფონდის საქმიანობიდან გამომდინარე კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.“.

2. ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 აპრილიდან.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დირექტორი

ქ. 

მერი მაღლაფერიძე